

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის

საბჭოს თავმჯდომარეს

განმცხადებელი: „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“

განცხადება

(საქმისწარმოების დაწყების შესახებ)

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-3 და მე-8 პრინციპები (მიუთითეთ ქარტიის პრინციპ(ებ)ი, რომელიც თქვენი აზრით, დარღვეულია).

მოგმართავთ, რათა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქარტიის შიდამარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შეისწავლოთ/განიხილოთ დარღვევის ფაქტი.

პერსონალური/პროფესიული მონაცემები ჟურნალისტის/რედაქტორის, რომელმაც შესაძლოა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით აღიარებული პრინციპები

ნატა ტაბიძე, ტელეკომპანია „მედის“ ჟურნალისტი

კონკრეტული ფაქტების/გარემოებები, რაც განმცხადებლის აზრით, ადასტურებს ჟურნალისტის/რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევას

2017 წლის 14 ივნისს, ტელეკომპანია იმედზე, „იმედის დილის“ გადაცემაში გავიდა ნატა ტაბიძის სიუჟეტი რომელიც ეხებოდა ბულინგს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სიუჟეტი არღვევს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-3 და მე-8 მუხლს.

განმცხადებლის პირადი მოსაზრება/განმარტება თუ რატომ მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია ქარტიის პრინციპები

აღნიშნული სიუჟეტი¹ აღწერს, 2015 წლის 27 მარტს, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში, ბავშვის თვითმკვლელობის ფაქტს. სიუჟეტში ვლინდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზეც გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ.

მიგვაჩნია, რომ დაირღვა ქარტიის მე-3 პრინციპი რადგან:

1. სიუჟეტი მომზადებულია გადაუმოწმებელი და მხოლოდ რესპონდენტთა ვარაუდებზე დაფუძნებული მოსაზრებებზე დაყრდნობით თუმცა აღნიშნული შეფასებითი ინფორმაცია მოსაზრება, ჟურნალისტის მიერ პერიოდულად დადასტურებულ ფაქტად არის წარმოჩენილი. მაგალითად ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 1. მოხდა ბულინგი 2. ბავშვმა თავი თანატოლთა მხრიდან ბულინგის გამო მოიკლა 3. ბავშვის სუიციდის გამო არავინ დასჯილა და სხვა. საზოგადოებას არც კი მოეწოდა ინფორმაცია სახდო

¹ https://www.youtube.com/watch?v=Nd_go-PMq7E

წყაროს მიერ მაგალითად სამართალდამცავების მიერ მომხდარის სამართლებრივი შეფასების შესახებ. ჟურნალისტს არც კი უცდია ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება.

მიგვაჩნია, რომ დაირღვა ქარტიის მე-8 პრინციპი რადგან:

2. სიუჟეტში ბულინგის სავარაუდო ისტორიის გაშუქება შეიცავს აშკარა საფრთხეებს იმ ბავშვისთვის, რომელიც სიუჟეტის შესაბამისად მიჩნეულია „მოძალადედ“. კერძოდ, ჟურნალისტი არ იცავს ბავშვის კონფიდენციალობის პრინციპს, განსაკუთრებით მაშინ როცა კონკრეტულ საქმეზე არ მომხდარა სამართლებრივი შეფასება შესაბამისი ორგანოების მხრიდან. ის ასახელებს კონკრეტულ სკოლას, საზოგადოებას უჩვენებს საჯარო სკოლის დირექტორის სახეს, ასახელებს „მოძალადე“ ბავშვის სქესს, იმას რომ და-ძმანი არიან, ისინი არ სწავლობდნენ ორი წელი ამ სკოლაში და ეხლა ბრუნდებიან, ეს ყოველივე კი სურვილის შემთხვევაში სრულიად ხელმისაწვდომს ხდის ბავშვის იდენტიფიცირებას.
3. სიუჟეტი ტოვებს განცდას, რომ ნამდვილად მოხდა ბულინგი და ასევე არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ერთი ბავშვის განხორციელებულ ქმედებასა და მეორე ბავშვის მიერ ჩადენილ სავარაუდო სუიციდს შორის. ჟურნალისტს, როგორც სიუჟეტიდან ჩანს, არ აქვს გააზრებული, რომ ბულინგში ჩართული ყველა ბავშვი მსხვერპლია და დაზარალებული მოზარდის შესაძლო სუიციდზე პასუხისმგებლობის გადატანა მეორე ბავშვზე, შეიცავს განუზომლად დიდ საფრთხეს ამ ბავშვისთვის. ეს საფრთხეზე უკვე ხილულია რაც გამოიხატება ტელეკომპანია იმედის ფბ-გვერდზე, ამ სიუჟეტის ლინკის ქვემოთ გაკეთებულ კომენტარებშიც, სადაც ფეისბუქ მოხმარებლები წერენ²: „დედაბუდიანად ხართ დასახოცები ვინც ამ ანგელოზს ჩაგრაჟდა და ამცირებდა , ქართულად ვაჟკაცობა დღეს სუსტის დაჩაგვრაში გამოიხატება“, „რა საშინელებაა... ვერ წარმოვიდგენ იმ ინტრიგანმა ბავშვმა და მისმა მშობლებმა როგორ უნდა იცხოვრონ აწი... ეს ის შემთხვევაა როდესაც ბავშვი ჩასახულია არაკეთილშობილი სპერმით.... თავის ცხოვრების გზაზე რამდენს დალუპავს კიდეც ვინ იცის...“, „გავგიჟდიიიი [ლ.ლ.ლ.ლ.ლ.] ცოცხლად უნდა აკუწო ის ბავშვი და დირექტორ მასწავლებლები ბავშვის ფეხებზე დაკიდებისთვის და გულჩათხრობილი დატოვებისთვის იდიოტები სულიტ ეშმაკი რო ხარ პატააობიდან რა ცუდია.....“.
4. აღნიშნული სიუჟეტი სავარაუდოდ კიდეც უფრო დამაბავს ურთიერთობას ოჯახებს შორის და მნიშვნელოვნად დააზარალებს მათ შორის შერიგების, მედიაციას. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც, ჟურნალისტისგან შევიტყეთ, რომ ერთ-ერთი ბავშვი აპირებს სკოლაში დაბრუნებას. ამავდროულად სიუჟეტში ისმის გარდაცვლილი ბავშვის მშობლის მუქალის შემცველი სიტყვები, სადაც ის ამბობს, რომ თუ იმ ბავშვს (სავარაუდოდ ბულინგში მოხსენიებული ბავშვი) მის უმცროს შვილთანაც ექნება კონფლიქტი „მე დასაკარგი დაგვარგი უკვე“ ანუ დიდი ალბათობით იგულისმხება, რომ თავად გაუსწორდება იმ ბავშვს.

² <https://www.facebook.com/TVImediOfficial/posts/1445923002166280>

5. ჟურნალისტი დეტალურად აღწერს ბავშვის შესაძლო თვითმკვლელობის სცენას, სად მოხდა მისი ბულინგი, ვინ იპოვა პირველად გარდაცვლილის ცხედარი, რაც ეწინააღმდეგება ქართვის რეკომენდაციებს შესაძლო თვითმკვლელობის გაშუქებაზე ხოლო სხვა ბავშვებისთვის შეიცავს პოტენციურ საფრთხეს რომ გაიმეორებენ ამ ქცევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტის მხრიდან ადგილი ჰქონდა ქართვის მე-3 და მე-8 მუხლის დარღვევას.

სასურველია დანართი – აუდიო ან/და ვიდეო ან/და ბაჭდური ფორმით არსებული მასალა ან ბმული, სადაც ასახულია ის ფაქტები/გარემოებები, რასაც ეფუძნება განცხადება

სიუჟეტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია განცხადებაში ელექტრონული ლინკის სახით.

განმცხადებელი (ხელმოწერა):



თარიღი:

განმცხადებლისათვის ცნობილია, რომ განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას.